83
ბ-137

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნუგეშა ვაჟას ასული გაგნიძე

სენტიმენტალიზმი და გოეთეს რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“

10. 01. 05 / ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2001

83
ქ-137
-1804-
-1804-

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნუბეშა ვაჟას ასული გაბნიძე

სენტიმენტალიზმი და გოეთეს რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“

10. 01. 05 / ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანული კაკაურიძე

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ზურაბ ჭარხალაშვილი**
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ნატო თხილავა**

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წ. „5“ „ოქტომბერს“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (P 10. 05. №4) სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №36.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

—1804—

ავტორეფერატი დაიგზავნა „5“ „სექტემბერს“ 2001წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი (რ. ციხითათრიშვილი)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

XVIII საუკუნის 70-იანი წლებში წარმოშობილი „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურა არის ევროპული სენტიმენტალიზმის გერმანული ვარიანტი და გამოხატავს ერის სულიერ მდგომარეობას ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციის წინა პერიოდში. „შტურმ-უნდ-დრანგის“ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ახალგაზრდა გოეთეს შემოქმედებამ. მის თეორიულ შრომებში ჩამოყალიბებული ესთეტიკური პრინციპები, რომლებიც კლასიციზმისა და განმანათლებლობის რაციონალისტური ესთეტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, განსხეულდა მისსავე ეპისტოლარულ-სენტიმენტალურ რომანში „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“. ამ ნაწარმოებში, ფაქტობრივად, განზოგადებულია XVIIIს. 70-იანი წლების საერთო-ევროპული განწყობილება. იგი, ერთის მხრივ, ევროპული რომანის ერთ-ერთ განშტოებას, ხოლო, მეორეს მხრივ, თავის ინტროსპექტულობით გერმანული ეპიკური ტრადიციის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს.

სადისერტაციო შრომის — „სენტიმენტალიზმი და გოეთეს რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ — <u>მიზანს</u> წარმოადგენს, განვიხილოთ გოეთეს ეს რომანი ევროპული განმანათლებლური ლიტერატურის ტენდენციების ფონზე, რომლის წიაღში წარმოიშობა ახალი ესთეტიკური ნიშნების მქონე ლიტერატურული მიმდინარეობა სენტიმენტალიზმის სახელწოდებით; ვაჩვენოთ, როგორი მხატვრული ფორმით აისახება და გადმოიცემა მასში საერთო ევროპული და გერმანული სულიერი განწყობილება, ეპოქის პრობლემატიკა, გერმანული ცხოვრების სპეციფიკა; ავხსნათ, რატომ იქცა გოეთეს „ვერთერი“ XVIII საუკუნის იმ უმნიშვნელოვანეს გერმანულ რომანად, რომელიც გასცდა გერმანიის ფარგლებს და საერთო ევროპული რეზონანსი შეიძინა.

ჩვენი <u>ამოცანაა</u>, ვუჩვენოთ, როგორ ყალიბდება ახალგაზრდა გოეთეს ლიტერატურულ თეორიაში თვისობრივად ახალი ესთეტიკური კატეგორიები, რომლებიც „ვერთერს“ და საერთოდ ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას ედება საფუძვლად; როგორ ეხმიანება ახალგაზრდა გოეთეს თეორიულ შრომებში დაფიქსირებული კლასიციზმის ესთეტიკური ჩარჩოების ნგრევის ტენდენცია ევროპული სენტიმენტალიზმის ესთეტიკას; როგორ ნათესაობას ამჟღავნებს 70-იანი წლების საერთო-ევროპულ ლიტერატურასთან გოეთეს „ვერთერის“ გრძნობისა და ბუნების კულტი, „ინტიმურის“ კატეგორია, ბუნებისა და სულიერების გააზრების მხატვრული ფორმები, სახეთა ფსი ქოლოგიზმი; როგორ აისახება ევროპული ინდივიდუალიზმის ეპოქა